საშოგალო დედის ენაში ... გაიცვლების სხვაზედა...

ჩვენი ფიქრი

1991
შაბათი
9
ნოემბერი
№ 123 (1171)
ფასი 5 კაპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ჯუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის არეზეკტურისა და საკრებულოს ორგანო

ეკონომიკა — ლიბერალიზაციის რელსებზე

ყველაფერს ჩვენი ცხოვრება და მომავლობა გადაწყვეტს

ჩვენი საზოგადოება ურთიერთობის თვისობრივად ახალ ფაზაში შედის. ეს პროცესი მრავალსახა, საოცრად ფართო სპექტრის შემცველი გახლავთ. დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის ტენდენცია გვკარნახობს ყველს მაქსიმალურად გამოვიყენოთ დრო, უმოკლეს პერიოდში ავინაზღაუროთ ის დანაკარგები, რაც ისტორიული განვითარების ბუნებრივი, ეკოლოგიური კალაპოტიდან გადახვევამ მოგვიტანა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება უპირველეს ყოვლისა მოგვიწოდებს დაუყოვნებლივ დავიწყოთ რადიკალური გარდაქმნები ეკონომიკის სფეროში. თანდათან და დაბეჯითებით მოვახდინოთ ძველი, ავტორიტარული სტრუქტურების დემონტაჟი და მთელი წარმოებითი ურთიერთობები გადავიყვანოთ ახალ რელსებზე. ეს კი გულისხმობს თავისუფალი მეწარმეებისათვის მწვანე გზის გახსნას, კერძო ინიციატივაზე აგებული საწარმოო, თუ კომერციული საქმიანობის გაშლას.

ჩვენს რეგიონში ამ მხრივ გარკვეული მუშაობა დაწყებულია. როგორც ქალაქის სამრეწველო ობიექტებში, ისე სასოფლო წარმოებაში მკვიდრდება სამეურნეო ანგარიში, იჯარის სხვადასხვა ფორმა, ოვითმმართველობის სტრუქტურები. სახალხო მეურნეობის ნებისმიერი რგოლის წარმომადგენლები ეჩვევიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით საქმიანობის აწყობას, მეურნეობრიობის ახალ მექანიზმებს. ეს გახლავთ ზედმიწევნით განსხვავებული, უჩვეულო მოვლენები, რომლებიც პირველ რიგში ითხოვს ადამიანთა ფსიქოლოგიის რადიკალურად შეცვლას, ახალი მიდგომების და პრინციპების შესაბამისად მუშაობას. ამ პროცესის სწორად წარმართვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რამეთუ მასზე დამოკიდებულია ახალი მეურნეობრივი სისტემის დაფუძნება. ყველაფერი იქით უნდა წარიმართოს, რომ თავისუფალმა მეწარმეობამ ამ სისტემაში მოიპოვოს კანონიერი სტატუსი. მეწარმეს უნდა მოშორდეს მაქინატორის, დამნაშავის იარლიყი და იგი მოგვევლინოს პიროვნებად, ვინც წყვეტს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ამ პროცესების განვითარებით ჩვენ საფუძველს ჩავუყრით და გავაფართოებთ დემოკრატიის სოციალურ ბაზას.

ჩვენი საწარმოების და ორგანიზაციების მესვეურნი ღრმად უნდა ჩაწვდნენ დროის ფერიცვალების არსს: თავისუფალი მეწარმეობა—ეს არ ნიშნავს მხოლოდ კერძო მესაკუთრეს, არამედ გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობის მრავალსახეობას. მას შეიძლება წარუძღვეს როგორც შრომითი კოლექტივი, ისე სახელმწიფო საწარმო. არსებითი მომენტი ის არის, რომ გამოირიცხება ყოველგვარი მონოპოლია ეკონომიკაზე და გზა გაეხსნება კონკურენციას, საბაზრო მეურნეობის ამ მთავარ მამოძრავებელ ძალას.

ყოველი ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს, თუ რა ძნელად, ნელი ტემპით იკიდებს სიახლე ფეხს ცხოვრებაში. რატომ ხდება ასე? უდაოა, იმიტომ, რომ აშკარად გვაკლია საბაზრო ეკონომიკის ელემენტების ცოდნა. ჯერ კიდევ თითო-ოროლა თუ გვყავს სათანადო დონეზე მომზადებული და უშუალო პრაქტიკულ საქმიანობაში გამოწრთობილი მეწარმე, რომელიც ღრმად ერკვევა სახაჭონლო-ფულადი ბირჟის, მარკეტინგის, საბროკერო ოპერაციების და ბაზრის სხვა ატრიბუტიკის სპეციფიკაში. ამიტომ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ახალი კადრების მომზადებას, მათი დაკვალიანების ხელისშეწყობას. ამასთან უნდა შევძლოთ იმ სამართლებრივი მექანიზმების არსის ბოლომდე გაცნობიერება, რომლებიც შემუშავებულია ახლებურ საწარმოო-კომერციულ ურთიერთობათა დასარეგულირებლად.

ძველი სტრუქტურიდან ახალზე გადასვლის ურთულეს პროცესს გავდივართ. და ამ ისტორიული გარდატეხის ჟამს შინაგანად მობილიზებულნი, ახლის დამკვიდრების ენინი დამუხტულნი უნდა შევხვდეთ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის კომპარტიის აკრძალვის გამო საკრებულოებში გამოთავისუფლებულ მანდატებზე დამატებითი არჩევნები ზუგდიდის რაიონის ოცდაათივე საკრებულოში დანიშნულია 1991 წლის 29 დეკემბერს.

ტერიტორიული საარჩევნო კომისია.

წარდგინების გრაფიკი:

პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებისათვის განცხადებების წარდგენა ხდება შესაბამის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ პარტიული სიების წარდგენა ადგილობრივი საარჩევნო კომისიებისათვის უნდა მოხდეს არაუგვიანეს 29 ნოემბრისა.

დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით საინიციატივო ჯგუფის მიერ განცხადების შეტანა ხდება საარჩევნო ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ ხელმოწერების შეგროვება.

განცხადების შეტანა ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში ხდება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრირება კი ადგილობრივ საარჩევნო კომისიების მიერ—არაუგვიანეს 23 ნოემბრისა.

ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატთა საბოლოო წარდგენის თარიღია არაუგვიანეს 2 დეკემბრამდე.

ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური პარტიებიდან წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა სიების ჩაბარება ადგილობრივი კომისიების მიერ ხდება არაუგვიანეს 4 დეკემბრისა.

ტერიტორიულ - საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მ. ჯგუშია.

განიხილავენ იჯარის დებულების პროექტს

მთავარი მაინც გლეხკაცის დახმარება და თანადგომაა

ასწინათ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმა კომისიამ შეიმუშავა და პრესაში განსახილველად გამოაქვეყნა კანონპროექტი „საიჯარო ურთიერთობათა შესახებ“, რომლის შესაბამისად მომზადდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულება და მიეწოდა მასებს განსახილველად.

დებულებაში აღნიშნულია, უფრო სწორად განმარტებულია, თუ რა არის იჯარა, ვინ შეიძლება იყოს მიწის და წარმოების სხვა ძირითად საშუალებათა მესაკუთრე. ვის ენიჭება ძირითად საშუალებათა იჯარით აღების საქმეში უპირატესობანი და სხვა.

დებულების მიხედვით იჯარით გასაცემი მიწის ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

საგულისხმოა, რონ მიწა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებები იჯარით გაიცემა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად. იჯარით შეიძლება გაიცეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგული და წარმოების საშუალებები. იჯარით გაცემის საკითხს ამტკიცებს საკრებულო.

იჯარადარი, ანუ მიწის და წარმოების სხვა საშუალებების მესაკუთრე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით გადასცემს მეიჯარეს მიწას და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, რაზედაც მეიჯარე იხდის ქირას, გადასახადის დაწესების ინსტრუქციის თანახმად.

შეთანხმების საფუძველზე იჯარადარი ვალდებულია მეიჯარეს გაუწიოს საწარმოო ტექნიკური მომსახურება, რომლის საფასური გადახდებათ შეთანხმებული ფასებით. შეთანხმება კი ფორმდება ხელშეკრულებით.

ყოველივე ამის შემდეგ მეიჯარე დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საქმიანობას და საიჯარო ქირის გადახდის შემდეგ თვითონ განკარგავს წარმოებულ პროდუქციასა და მიღებულ შემოსავალს.

იჯარით გაცემულ მიწაზე მეიჯარეს ეკრძალება ყოველგვარი არასამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

აღნიშნული და სხვა მუხლები ნათლად მიუთითებს ორივე მხარეს დაიცვან ყველა ის კანონი, რაც მითითებულია სპეციალურ დებულებაში.

კოლმეურნეობა „კოლხიდის“ სპეციალისტებმა, მეიჯარეებმა იმსჯელეს დებულების პროექტის ირგვლივ. აზრთა კამათში გამოიკვეთა, რომ საჭირო იქნება არსებული რესურსების ოპტიმალური განლაგება. გარკვეულია ისიც, რომ კოლმეურნეობის დამოუკიდებლობის ელემენტების გაჩენის შემდეგ გარკვეულ მოგებასთან გვექნება საქმე. მთავარი მაინც გლეხკაცის დახმარება და თანადგომაა.

ახლა საშური ღღეებია სოფლად. მოსავლის უდანაკარგოდ აღება ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებას და ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან კოლხიდელებმა.

ზ. კვარაცხელია,
კოლმეურნეობა „კოლხიდის“ გამგეობის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის თვალთახედვა

სსნის სხვა გზას ვერ ვხედავ

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ვნებათა ღელვას როცა აკვირდები და აანალიზებ, უნებურად მიდიხარ შემდეგ დასკვნამდე: ჩვენდა საუბედუროდ ქართველობის გარკვეული ნაწილი ან შეგნებულად ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კურსს, ან პოლიტიკური უმეცრების გამო ბოლომდე ვერ იცნობიერებს ვინ არის ჩვენი ან. მაგრამ არ არის ეს ასე. ყოველ მათ გამოსვლაში, თუ საგაზეთო მასალაში მოფონავს იმპერიული, დიდმპყრობელური ამბიციები, შოვინისტური განწყობილება. ბატონი შევარდნაძეც აკი აშკარად აცხადებს ოავის ბოლოდროინდელ ინტერვიუში, მე რჩევა-დარიგებებს, კონსულტაციებს ვაძლევ მიხეილ გორბაჩოვს. ან როგორ შემიძლია ამისგან თავი შევიკავო, როცა საკითხი ქვეყნის ინტერესებს ეხებაო. დიახ, მისთვის ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირია პირველი რიგის საზრუნავი და არა გამსაცდელის წინაშე მდგარი საქართველო.

ასევე ეშვის თვალით ვუყურებ მიხ მიერ საქართველოში წამოწყებულ დემოკრატიულ მოძრაობას. არამგონია ამ საქმემ ურთიერთკეშპობისა და კონფრონტაციის გარდა, რაიმე სიკეთე მოგვიტანოს.

ამიტომ, გონს მოვიდეთ თანამემამულენო. ჩვენი სამშობლო ურთულესი ისტორიული კატაკლიზმების წინაშე დგას. ბოლოს და ბოლოს მივხვდეთ, ჩავწვდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ სანუკვარი მიზნის მისაღწევად კონსოლიდაციაა საჭირო. ხსნის სხვა გზას ვერ ვხედავ.

Ზ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.

თაოგბათა კავშირის მადლი

ღვაწლმოსილი პედაგოგი

ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ დაბადების 100 წელი რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ჩინებულ მოქალაქეს იასონ თადეოზის ძე კვარაცხელიას.

დაიბადა ზუგდიდის მაზრას სოფელ ნაკიანში, მღვდლის ოჯახში. დაამთავრა სოფელ ნაკიჩხუს ოთხწლიანი სკოლა, სენაკის სასულიერო სასწავლებელი და თბილისის სასულიერო სემინარია. წლების მანძილზე მუშაობდა ნაფიჩხუს ოთხწლიანი სკოლის მასწავლებლად. შემდეგ კი გამგედ.

1920 წელს ბატონი იასონი სწავლას აგრძელებს ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. იგი მეგობრობდა იმავე ხანებში უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებთან ნიკო კეცხოველთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ტარას კვარაცხელიასთან, რომელთა შესახებ არაერთი საინტერესო მოგონება დაგვიტოვა.

1925 წლიდან იასონ კვარაცხელია სპეციალური საგნის მასწავლებლად მუშაობდა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. აქ მან 34 წელი დაჰყო. ის გახლდათ არამარტო მასწავლებელი, არამედ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი, ახალგაზრდების დამკვალიანებელი.

ბატონმა იასონმა, ერთერთმა პირველმა ზუგდიდში, 1946 წელს მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მისი სტატიები აგრონომიულ საკითხებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში.

ღვაწლმოსილი ადამიანი ხელმძღვანელობდა მაზრის პედაგოგთა ერთწლიან კურსებს. უძღვებოდა რეგიონის მასშტაბით აგროწრეების მუშაობას. მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა ზუგდიდში აგრონომიული საზოგადოება, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა 10 წლის განმავლობაში.

ამაგდარი პედაგოგი ღირსეულ კადრებს უზრდიდა რესპუბლიკას. მისი არაერთი აღზრდილი წარმატებით დაწინაურდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ისინი დღესაც დიდი პატივისცემით იხსენიებენ საყვარელ აღმზრდელს.

მას საოცრად კეთილი, თბილი და სტუმართმოყვარე ოჯახი დარჩა. მის ოჯახში აღიზარდა ჩინებული ექიმი გურამ კვარაცხელია, რომელიც თავის მეუღლესთან, ქალბატონ ნონა წასიძესთან, ერთად ღირსეულად ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის, დაცვის საპატიო საქმეს.

გვეამაყება ბატონი იასონის აღზრდილებს, რომ მამისეულ კეთილ ტრადიციებს ასე სახელოვნად აგრძელებს ვაჟი, ჩვენი ქალაქისათვის ასე ახლობელი და დასაფასებელი პიროვნება, პატივცემული გურამი.

დღეგრძელობა ძირძველი ქართული ოჯახის კვალში ჩამდგარ ღირსეულ მემკვიდრეებს.

ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐᲕᲐ,
საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ბატონ იასონის ყოფილი მოსწავლე.

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘ ᲘᲮᲐᲠᲘᲗ

რეგიონის შრომითი კოლექტივებისათვის უცხო არაა შრომის ბრიგადული მეთოდები. ბევრგან დაინერგა იჯარა. მთელი რიგი ბრიგადები, რგოლები, ოჯახები, ინდივიდები ამ წესით მუშაობენ.

ახალი მეთოდით შრომის სიკეთე იგრძნობა ოდიშის კოლმეურნეობაშიც. აქ სხვა კულტურებთან ერთად იჯარითაა ციტრუსი, რომელსაც 42 ჰექტარი უჭირავს. მათ შორის სრულმოსავლიანია 14,5 ჰექტარი.

მანდარინის პლანტაციები გადაპიროვნდათ პირველ, მეორე, მესუთე, მეექვსე და მეშვიდე ბრიგადების წევრებს, რომელთაც ტრაქტორ და რაშაზ სართანიები, ბადრი ქობალია, ზაურ კვიტატიანი და ჯანიკო ჭითანავა ხელმძღვანელობენ. ყველას უნდა იმუშაოს მონდომებით, მცირე დანახარჯებით აწარმოოს რაც შეიძლება მეტი ციტრუსი.

შრომაში მისაბაძი არიან მოიჯარეები ჯემალ და ვახტანგ სართანიები, შალიკო ბულია და სხვები. მათ პირველებმა მაღალხარისხოვნად დაამთავრეს ტერასის ქანობის გამოცელვა, გადაბარვა თუ სასუქების შეტანა, ამიტომ შედეგიც სასურველია.

პლანტაციებს სიყვითლე შეეპარა, მოიჯარეები 30 ტონა მანდარინის აღებას ვარაუდობენ.

Ჯ. ᲐᲑᲘᲡᲐᲜᲫᲔ.

იქნებ მოღვარდეს

სოფელ ცაიშის ცაცხვის უბანი მჭიდროდ დასახლებულია. აქეე განლაგებულია სხვადასხვა ორგანიზაციები— ბლოკისა და კირის საამქროები, რკინიგზის სადგური, საშუალო სკოლა.

უბნისთვის აუცილებლობას წარმოადგენს ფოსტის განყოფილება, რომელსაც მოკლებულნი ვართ. სამიოდე თვის წინ მანქანით მოჰქონდათ საფოსტო გზავნილობები, ჟურნალ-გაზეთები, პენსიები, მაგრამ კარგა ხანია იგი შეწყდა, რამაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მიემართეთ სოფლის საკრებულოს ფოსტისათვის პატარა ოთახის გამოყოფის გამო, მაგრამ საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

იქნებ საგაზეთო წერილმა დაარჩქარის ამ საქმის მოგვარება.

აქეე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის დახმარებით მადლიერება გამოვხატო მედპუნქტის ექთანის—კრელიდა გოგიას მომსახურების გამო, რომელიც კეთილსინდისიერად, დაუზარებლად ასრულებს მოვალეობას, რისთვისაც სოფლის მოსახლეობა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ,
შრომის ვეტერანი, დამსახურებული ინვალიდი.

დასკვნების გაკეთებას ნუ დავაყოვნებთ

მივმართავ ოპოზიციის წარმომადგენლებს: ბატონებო, თქვენს გამოსვლებს ტელევიზიით, თუ პრესის ფურცლებზე ინტერესით ვადევნებ თვალს. მე არ ვეკუთვნი მკითხველთა იმ კატეგორიას; ვინც აკვიატებული აზრების ტყვე ობაშია და ავის მჩხრეკელი კაცის პოზიციიდან აფასებს მოვლენებს. მაგრამ არ შემიძლია გულისხმადები გულწრფელად არ გამოვხატო. ზოგიერთი თქვენი წარმომადგენლის მსჯელობაში ლოგიკას ვერ ვხედავ. იგი პირად სიმპათია—ანტიპათიაზე უფროა აგებული, ვინემ მოვლენათა სად და მიუკერძოებელ ახსნაზე. სიმართლე გითხრათ, გული კმაყოფილებით მევსება, როცა ოპონენტის ნააზრევში რაღაც ჯანსაღ, კონსტრუქციულ მარცვალს დავინახავ. გონიერი პოლიტიკოსები დიახაც გვყავს და ამის გარეშე ყოფნა ღმერთმა ნუ ქნას. მაგრამ, მომკალით და ვერაფრით დავიჯერებ და ვიწამებ იმ ვაიპოლიტიკოსების ბოღმიან პასკვილებს, რომელიც იწყება და მთავრდება პრეზიდენტის ლანძღვა-გინებით, განქიქებით.

ნუთუ შესაძლებელია დღეს ჭკუათმყოფელ ქართველს ეშვი შეეპაროს ბატონ ზვიად გამსახურდიას პატრიოტობაში? ნუთუ არ უნდა დავუდგეთ გვერდით კაცს, ვინც ყრმობისდროინდელ იდეებს ერთი წუთითაც არ ჩამოშორებია და ასე თავგანწირვით და შეუპოვრად ებრძვის იმპერიულ ურჩხულს?

ვძლიოთ პირადი წყენა, ამბიციები, განდიდების მანია. ამ თვისებებს ისტორიულად ბევრი უბედურება მოუტანია ერისთვის.

და მოდი., დროული დასკვნები გავაკეთ ... ოდინდელი მწარე გაკვეთილებიდან.

Ნ. ᲙᲐᲠᲐᲯᲘᲐ.

ცნობისმოყვარეთა კლუბი

როგორ ცხოვრობენ სახელმწიფოს ლიდერები?

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲗᲥᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲖᲔ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲗᲗᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲣᲛᲘᲐ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲚᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲕᲐᲜ-ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲘᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲠᲘᲐ. ᲓᲘᲐᲮ, ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲔᲑᲘ, ᲘᲛᲓᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲝᲤᲐᲓ, ᲒᲐᲜᲣᲗᲕᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲙᲕᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲥᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ, ᲗᲣ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲘᲓᲘᲝᲛᲔ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚ ᲮᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲖᲔ:

ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲭᲙᲘᲐᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲕᲘᲜᲪᲮᲔ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲪᲮᲐᲛ ᲨᲐᲛᲘᲠᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲡᲮᲝᲕᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲘᲚᲘᲗ Ი�გᲘ 1989 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ „ᲨᲔᲕᲠᲝᲚᲔᲖᲔ“ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲫᲦᲝᲚᲘᲡ ᲪᲓᲐ, ᲔᲛᲮᲝᲕᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝ ᲐᲛᲝᲛᲩᲜᲓᲐ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲛᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ? ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲚᲝ�გᲘᲙᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲡᲐᲓᲐ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ Ი�გᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲓᲣᲚᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲡᲘᲜᲯᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲝᲛᲑᲚᲔᲑᲡ. ᲛᲘᲮᲔ ᲐᲡᲙᲔᲢᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲙᲐᲛᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲛᲐᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲗᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲨᲘ, ᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲠᲛᲢᲐᲪ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ—ᲛᲝᲜᲢᲔᲤᲝᲠᲨᲘ. ᲐᲥ ᲘᲒᲘ ᲢᲐᲪᲑᲔᲑᲐ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲥ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲫᲦᲕᲐ.

ᲨᲐᲛᲘᲠᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲝᲠ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲛᲘᲬᲧᲔᲚᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲕᲠᲘᲐᲜ. ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲗᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲨᲘ, ᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲠᲛᲐᲪ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ—ᲛᲝᲜᲢᲔᲤᲝᲠᲨᲘ. ᲐᲥ ᲘᲒᲘ ᲢᲐᲪᲑᲔᲑᲐ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲥ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲫᲦᲕᲐ.

ᲨᲐᲛᲘᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ნარკომანია — მორალური დეგრადაციის გზაა

მრავალი ასწლეულია ადამიანი ხმარობს ნარკოტიკებს დ. იმდენი [illegible] წარუმატებლად ცდილობს თავი დააღწიოს გადაულახავ და ავადმყოფურ მისწრაფებას მისკენ. არსებობს სავარაუდო გამოთვლები, რომელთა თანახმად სადღეისოდ პლანეტის მცხოვრებნი უკანონოდ შეძენილ ნარკოტიკებზე ხარჯავენ უფრო მეტ ფულს, ვიდრე საჭმელზე, საცხოვრებელზე, ტანსაცმელზე, განათლებაზე [illegible] სამედიცინო მომსახურებაზე [illegible]თად აღებული.

იმისათვის, [illegible] გავერკვეთ თუ რამ გამოიწვია საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნარკომანიის თითქმის მასიური გავრცელება ახალგაზრდობაში და რა მეთოდებითა შესაძლებელი ამ ნაკლთან ბრძოლა, აუცილებელია 70-80-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის მორალური პრინციპების დანახვა.

ახალგაზრდობა, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფი, ქმნის ახალ მორალს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ითვისებს ტრადიციულ მორალურ პრინციპებს. ახალგაზრდობის სოციალური წარმოდგენები მიმართულია უფროსების სამყაროსკენ და უშუალოდ წინამორბედი თაობების შეხედულებიდან გამომუშავდება. გარდა ამისა, რომ ის ტრადიციული მორალიდან აღმოცენდება, ის ამ ტრადიციულ მორალთანვე თანაარსებობს, რადგანაც საზოგადოებაში ერთბაშად ცხოვრობს ადამიანთა რამდენიმე თაობა, რომელთათვის საერთო ღერძის არსებობისას მორალური პრინციპები მაინც განსხვავებულია.

სსრკ-ს დაარსების მომენტიდან საქართველოში გაბატონებული აღმოჩნდა ათეისტური მოძღვრება. ათეიზმი განუყრელად დაკავშირებულია ბუნებაზე მატერიალისტურ შეხედულებებთან, უარყოფს რა ყოველგვარ რელიგიას რწმენას. მარქსიზმ-ლენინიზმი (ათეიზმის თეორიული სრულყოფა) აღიარებდა ყოფიერების პრიმატს ცნობიერებაზე, სახელმწიფოს უპირატესობას პიროვნებაზე, რაც აუცილებლობით მოითხოვდა ხალხის საერთო მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას პიროვნული ინტერესების იგნორირების საფუძველზე.

კომუნისტურმა [illegible] ამ აღიარა კერპთაყვანისმცემლობა, რისი ნათელი მაგალითია უტოპიური მოძღვრების თავაცების სიცოცხლეშიგე განდიდება, ზებუნებრივი ძალების მიწერა. აქედან იღებს სათავეს ჩვენში გავრცელებული ცრუმორწმუნეობა.

კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა მოსპო პიროვნული ინიციატივა და ინტერესი. გამოდიოდა რა არარსებული აბსტრაქტული [illegible]ების მიზნების სასარგებლოდ, რამაც გამოიწვია ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი განსხვავებული აზრისა და ქმედების მქონე ადამიანის დევნა და ფიზიკური განადგურება. მოახდინა საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა სოციალური ფენის (გლეხის, მუშის, ინტელიგენციის) წარმომადგენლების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა საგნების წარმოება, გაცვლა და ხმარებაში ძალისმიერი შეზღუდვები და ვათანასწორება. მასწავლებლის, მუშის, ექიმის შრომის თითქმის ერთნაირმა ანაზღაურებამ დამოუკიდებლად იმ წვლილისაგან, თუ რა შეჰქონდა თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველასათვის აბსურდული სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება ლიტერატურაში, ყოველად გამოუსადეგარი პროდუქციის გამოშვება წარმოადგენენ ნათელ მტკიცებებს ზემოთხსენებული მოსაზრებისა.

სწორედ ამ და სხვა მიზეზებმა აქცია ტრადიციულ ნორმად მოქალაქეების კანონგარეშე ქმედებები, როგორიცაა მექრთამეობა, კორუპცია, საბელმწიფო ქონების დატაცება, ძარცვა, ძალადობა. ნარკომანია. კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა საზოგადოებაში შეექმნა მატერიალური კეთილდღეობის სურათი, რისთვისაც ის ნებისმიერ მეთოდს იყენებდა. განსაკუთრებით ხშირი იყო ცალკეული პიროვნების საზოგადოებისაგან მოკვეთა, წმენდა თვით პარტიის რიგებში, რათა შექმნილიყო ხალხში კომუნისტის —ყველაზე სამართლიანი და პატიოსანი ადამიანის სახე. სინამდვილეში მმართველ პარტიაში ყოველდღიურად იზრდებოდა ძირითადად კარიერისტული მიზნებით შესულ პიროვნება [illegible] რიცხვი, რადგანაც მხოლოდ ამ არხით იყო შესაძლებელი შედარებით ნორმალური მატერიალური საზრისის შექმნა. ამ პროცესის განვითარებამ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა 70-80-იანი წლების ახალგაზრდობის ძირითად მორალურ პრინციპებს.

საზოგადოებაში გაბატონებული ნორმები ახალგაზრდობის ნაწილს საკუთარი „მე"-დან გაქცევის სურვილს და ამით რეალური არსებობისაგან განთავისუფლებისაკენ უბიძგებდა. რეალურობა სავსე აღმოჩნდა ორპირობით, უნდობლობით, მატერიალური და სულიერი სიღარიბით, უსაქმურობით, ყოველი მხრიდან ცხოვრებისეული სტრესებით. საზოგადოებაში გაბატონებული აზრი ნარკომანებს სუსტი ფსიქიკის ადამიანად მიიჩნევდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

გამომდინარე საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური სიტუაციიდან, ჩემის აზრით, ჩვენში თითქმის მასიურად გავრცელებული ნარკომანია წარმოადგენს სოციალურ პრობლემას. საერთოდ, ადამიანის ცხოვრება არ შეიძლება განხილულ იქნას საზოგადოებისაგან იზოლირებულად, უველაფერი, რაშიც თითოეული ადამიანი ვლინდება, მიეკუთვნება არა მარტო მას, არამედ იმ სოციალურ გარემოსაც, რომელშიც ის ცხოვრობს. ჩვენში არსებითად უნდა შეიცვალოს წარმოდგენა ნარკომანიაზე. ნარკომანიის შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენის არა მარტო რეალურ, მატერიალურ თუ სოციალურ მხარესთან, არამედ არსებითად პიროვნების სულიერ კრიზისთან, რომლის შემდგომი შედეგიცაა მისი მორალური დეგრადაცია. აუცილებელია შეძლებისდაგვარად მოიძებნოს საშუალებები, რათა ძლეულ იქნას თითოეული ადამიანის ინტერესებსა და სოციალურ გარემოს შორის არსებული ანტაგონიზმი (დაპირისპირება), საქართველოში თანდათანობით აღიარებულ იქნას პიროვნების პრიმატი სახელმწიფოზე, რაც შესაძლებელს გახდის დამყარდეს წონასწორობა ადამიანის ინტერესსა და სოციალურ გარემოს შორის. სასიკეთოდ უნდა ჩაითვალოს ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მიღწევას, მისი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში.

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ჩვენში ადამიანი ხდება პროპაგანდისა და მასიური კომუნიკაციის საშუალებათა ზეგავლენით სულ უფრო და უფრო პასიურ სუბიექტად. საქართველოში ყოველდღე 4-5 საათის განმავლობაში ვიდეოფილმების ჩვენება არაფერ კარგს არ მოგვიტანს.

ჩვენში ნარკომანიის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზია თაობათა შორის ურთიერთგაგების სირთულეებით გამოწვეული კონფლიქტები. „მამებსა" და „შვილებს" შორის განსხვავება ვლინდება როგორც საკითხებისადმი მიდგომაში, ისე ინტერესებსა და გემოვნებაში, რაც შეიძლება მარტივად აიხსნას— ახალგაზრდობის ცხოვრებისეული გამოცდილების ფაქტორით. მათ შორის დაპირისპირების მწვავე ხასიათი გამოწვეულია საზოგადოებაში დამკვიდრებული ნეგატიური ნორმებით. ახლებური ურთიერთობებისა და ღირებულებების შექმნამ, შრომის ანაზღაურების პროგრესულმა ფორმებმა, ახალგაზრდობის დასაქმებამ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ასეთი წინააღმდეგობის დაძლევისას, რადგანაც ნებისმიერი საზოგადოება აკანონებს ადამიანისათვის წორმას და მოთხოვნებს, რომელიც შემდგომ ხდება კრიტერიუმად როგორც მისი ზნეობრივი ღირებულებისათვის, ისე მისი ზნეობრივი მოქმედებისათვის.

ქართველ ერს მრავალი საუკუნეა ელის როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც, მაგრამ ნარკომანია დღეს ერის შიგნით ყველაზე დამღუპველია. ამასთან საფასური, რომელიც ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა გაიღოს ამ ნაკლის დასაძლევად —დღითიდღე მატულობს.

ᲖᲔᲚᲐ ᲙᲕᲐᲨᲘᲚᲐᲕᲐ,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲓᲔᲓᲐᲑᲣᲜᲔᲑᲐ

კომუნისტური დიქტატურის ბატონობის 70 წლიანმა ადმინისტრაციულ - მბრძანებლურმა რეჟიმმა დიდი ზიანი მიაყენა არამარტო ადამიანის რწმენას, არამედ დედაბუნებასაც. დღეს ყველას ახსოვს არც ისე შორეულ წარსულში გაბატონებული თეზისი — „ნუ დაველოდებით ბუნების მოწყალებას. წავართვათ მას რისი წართმევაც შეიძლება". ეს თეზისი უკლებლივ ყველამ გაითავისა. არავინ უცდიდა იმას თუ როდის გადმოგვაფარებდა ბუნება თავისი მოწყალების კალთას. უმოწყალოდ გავჩეხეთ ტყეღრეები, დავაშრეთ ჭაობები, ვუცვალეთ კალაპოტი მდინარეებს. ბევრგან ნაჭაობარზე ავაგეთ სრა ს სახლები, გავაშენეთ სუბტროპიკული კულტურები. მდინარეთა ნაკალაპოტარზე ავაგეთ კაშხლები, დავაყენეთ ხელოვნური ზღვები და ტბები. სამაგიეროდ არც ბუნებამ დაგვინდო. შური იძია, არ გვაპატია სულწასულობა, ჩვენი უგნურობა. ის მეწყერები, წყალდიდობები და ზვავები, რომლებიც ამ ბოლო დროს ასე მოხშირდა ადამიანის მიერ ბუნებაში უხეშად ჩარევის მწარე ნაყოფიცაა.

სალი თვალით შევხედოთ და გავაანალიზოთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ჩვენს თვალწინ. განვლილ ათწლეულებში, რომლებიც მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის კურსით მიმდინარეობდა, დაგვიტოვა იაკარქმნილი, ბარბაროსულად გაჩანაგებული დედაბუნება.

თუ რა მოუვა მილიონობით წლების მანძილზე ბუნებაში არსებული ბალანსების დარღვევას. ბუნების უმოწყალოდ გაჩანაგებას. დღეს ამას ყველა ხედავს. მაგრამ ადამიანებს არ სჯერათ ანდა თვალსაჩინოდ არა აქვთ წარმოდგენილი მოახლოდნელი კატასტროფის რეალობა და გრანდიოზულობა, რასაც ადამიანის მიერ ხელყოფილი ბუნება გაიჯავდის.

რისი და ვინი [illegible]

[illegible]ინებ ადამიანებს [illegible]ლოდ ეჩვენებათ [illegible]ერული საუბარი, გაფრთხილებები და მითითებები. იქნებ მგონია ვინმეს, რომ ის რაც დღეს პრესაში იწერება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრესა და რადიო გადმოსცემენ, ან ის მრავალრიცხოვანი სიმპოზიუმები და თათბირები, რომელიც ბუნების დაცვის საკითხებს განიხილავენ შორეული დროის პრობლემებია. არა მეგობრებო. ეს ჩვენი ხვალინდელი დღე გახლავთ, ადამიანმა მთელი სიგრძე სიგანით უნდა შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა დედაბუნების მიმართ თუ ისე უველაფერი არ გაკეთა მისი გადარჩენისათვის როგორც საჭიროა, მას დაღუპავ ელის. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის დიდი უურადღება რასაც დღევანდელი ეროვნული ელისუულება ბუნების დაცვის საკითხების მიმართ იჩენს. ეს ერთხელ კიდევ ცხადად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის კანონპროექტში „ბუნების დაცვის შესახებ", რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა. კანონპროექტი შედგება 16 თავისა და 79 მუხლისაგან. ყველა ეს მუხლი ერთ საერთო მიზანს ემსახურება. დავიცვათ დედა ბუნება ადამიანის ხელყოფისაგან.

კანონპროექტის პირველ მუხლში ნათქვამია:

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონმდებლობის ამოცანებია: ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის რეგულირება გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში; ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნება; მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება; აღწარმოება; ბუნებაზე სამეურნეო და სხვა საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება, გარემოს გაჯანსაღება, ამ სფეროში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.

კანონპროექტის მომდევნო მუხლებსა და თავებში საუბარია ბუნების დაცვის სახელმწიფო უზრუნველყოფის, ბუნების დაცვის სფეროში უზრუნველყოფის მექანიზმის, ბუნების დაცვის ფონდების, ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა და სოციალურ-ეკონომიკური შეფასების, ბუნების დაცვის პროგნოზირების, გარემოს მდგომარეობის ნორმირების, სახელმწიფო ექსპერტიზის აუცილებლობის ზოგადი ბუნებადაცვითი მოთხოვნების გარემოზე ზეგავლენის მქონე პროექტებზე დამუშავებისა და რეალიზაციის, საგანგებო ეკონომიკური სიტუაციებისა და სხვა საკითხებზე.

კანონპროექტი პრესაში გამოქვეყნებულია საყოველთაო სახალხო განხილვისათვის. ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო ორგანიზაციის მუშაკებს, მწვანეთა მოძრაობის წევრებს, სპეციალისტებს და ყველა დაინტერესებულ მოქალაქეებს ვთხოვთ რედაქციაში გამოგზავნონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები კანონპროექტის ირგვლივ.

მილოცვები, სურვილები

კეთილს, სათნოსა და ბავშვების საყვარელ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, მე-2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის ხელმძღვანელს—ქალბატონ ცაცა გულუას— ვუსურვებ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ულევ სიხარულს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კეთინო ნარმანია-ლარასელია.

„ვმღერი მე ისევ, მასწავლებლის დიდებას ვმღერი...
ვლოცავ მე ჩემი მასწავლებლის ხელებს და სიბრძნეს"...

პატივცემულ ცაცა გულუას, ჩემს პირველ მასწავლებელს, ძვირფას ადამიანს, მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე...

ჩემს წარმოდგენაში არასოდეს დაბერდება ცაცა მასწავლებელი, რომელმაც მაზიარა მადლიან ქართულს, მიყვარდეს და ვთვლიდე დედად— მისი ფასდაუდებელი ამაგის წილ, მხოლოდ ეს შემიძლია.

8. კოსტავას სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე შალვა ჩაგინავა.

ი ყ ი დ ე ბ ა

1. მავთული 0,9 5 მმ-მდე — 80 ტ.
2. ტელეფონის კაბელი —850 მ.
3. საკისრები სხვადასხვა ზომის — 800 ც.
4. ამპერმეტრები — 80 ც.
5. საბურღი ფრეზები —1500 ც.
6. „ლატუნი" ფურცლოვანი —850 კგ.
7. სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობები 10 ათასი მანეთის.
8. ავტოკარის დასამუხტი კარადა—4 ცალი.
9. ლურსმნის საპრელი დაზგა —5 ცალი.
10. დღის განათების ნათურები —500 ც.
11. ხის დამამუშავებელი სხვადასხვა ჩარხები—4 ერთეული.
12. სახარატო ჩარხი, ელწნეხი, კომპრესორი—3 ერთეული.
13. ანტიკოროზიული დაფარვის დანადგარი კომპლექტში.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: ზუგდიდის სარემონტო მექანიკური კომბინატი, გორის ქ. 17, ტ. 2-13-94, 2-35-04.

სიჯუნა საქმიანი

ასე ესახებათ მომავალი

სიახლეთა ძიება ახალი როდია ახალგაზრდობისთვის. აქ უკვე მეხუთე წელია უარი უფრეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მოძველებულ მეთოდებს, ფართო გასაქანი მიეცა შრომის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებს, გლეხთა ინიციატივას, მიწაზე მისი სურვილისამებრ მუშაობას და შედეგებიც კარგი აქვთ.

როგორც კოლმეურნეობის მთავარმა ეკონომისტმა გ. როგავამ გვაცნობა, სრულდება ყველა ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის როგორც წარმოების, ასევე სახელმწიფო შეკვეთების საპროგნოზო მაჩვენებლები. ჩაის ხარისხოვან ფოთოლზე სახელმწიფო შეკვეთა შესრულებულია 114 პროცენტით, სიმინდის მარცვლის წარმოების პროგნოზი 100 პროცენტით. არც მეცხოველეობის დარგის მაჩვენებლებია ცუდი; წინა წლებთან შედარებით არ შემცირებულა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, ხორცზე სახელმწიფო შეკვეთის მოცულობა შესრულებულია 105 პროცენტით. ფერმა სანინუშოდაა მომზადებული გამოზამთრებისათვის, სახეზეა საჭირო ყველა სახის საკვები, კერძოდ, სილოსი—360 ტონა, სენაჟი —120 ტონა, თივა —70 ტონა, ტურნეფსი დათესილია 5 ჰექტარზე, შვრიის დასათესად მზად არის 10 ჰექტარი მიწა, - სულ გამოზამთრებისათვის ერთ პირობით სულზე გვექნება პირუტყვისათვის ნორმით გათვალისწინებული 16 ცენტნერი საკვები ერთეული.

პირველი წლის არც ფინანსური მაჩვენებლებია ურიგო. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 3 მილიონ მანეთს მიაღწევს, ხოლო მოგება კი 800 ათას მანეთს. უმჯობესდება სოფლის იერსახე, მატულობს სოფლის მშრომელთა რეალური შემოსავალი, ხელფასისა და პენსიების ოდენობა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. გლეხობა მოუთმენლად მოელის მიწის რეფორმის შესახებ კანონს. კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ვ. ფარცვანია) მიაჩნია, რომ საბოლოოდ სოფელში კოლმეურნეობის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბდეს გლეხთა კავშირი. ამ კავშირის სახით სოფლად უფრო მოქნილი ურთიერთობანი დამკვიდრდება და კერძო საკუთრების დაშვება საბოლოოდ სრულყოფს ქართული სოფლის დღევანდელ სახეს, მითუმეტეს, რომ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბება და წარმოების წესი ამ პირობებში მჭიდროდაა დაკავშირებული კერძო საკუთრებასთან, ადამიანთა თავისუფალ საქმიანობასთან.

რედაქტორი
ია ფანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები: თინა, დოდო, შოთა, ოთარი, რძლები ნაირა ჯიქია, მაგული ბერიშვილი, სიძე გული ქოჩუა, შვილიშვილები: ირაკლი, ხალი, თენგიზი ქოჩუები. ზურაბი, ლაშა ბორენა, მაია ადეიშვილები, დები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ბაბუცა ვასილის ასულ მურადაშვილი-ადეიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12, 13 ნოემბერს. დაკრძალვა 14 ნოემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის (ყოფილი მარქსის) ქუჩა 30-დან 16 საათზე.

შვილები მარინა, ნოდარი, ჯემალი, თენგიზი თორდიები, დები: ნინა, ნაზო, ძმა კაკო გიგიბერიები, სიძეები ოდიკი გვასალია, ვენე შენგელაია, რძლები: ეთერი დარასელია, ლიანა, ლუდა, გული. შვილიშვილები: მადონა, მაკა, მაია, ცირა, იურა, დემური, მიშიკო თორდიები, გიორგი გვასალია, ძმისშვილები იგორი, ვახტანგი, თემური გიგიბერიები, დისშვილები: ეთერი, გიორგი აბსანძეები, ძიძისშვილი მინუცა წითაშვილი, ბიძაშვილები: მარო, თინა, ჟენე გიგიბერიები, ცეცი, ეთერი ნიუყებები, მამიდაშვილები თათუნა, ნელი ფაციები, დეიდაშვილები: ვენერა, ლუდა, ორდე დგებუაძეები, მულიშვილები ნელი, ლეილა, ლუკიანე შენგელაიები, ლამარა, მერი ხუბუები, მზახლეები: თამარა, ვალერიანე გვასალიები, მავრა, გერმანე გუგუჩიები ოჯახებით იუწყებიან

ლუცია მიხეილის ასულ გიგიბერია-თორდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 ნოემბერს. დაკრძალვა 12 ნოემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, თავისუფლების 116-დან 17 საათზე.

ზუგდიდის საბოლოლერო მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი თანაუგრძნობს შოთა ქადარიას ძმისშვილის ჯონის გარდაცვალების გამო.

დედა მთვარისა, მამა რენდიკო, ძმა იკა, და ვერიკო, ბებიები: ბუდა, ტატიანა, სულიკო, ბაბუები: ბოჩია დარასელია, საშა კემულარია, მამიდა მთვარისა, დეიდა ზოია ჯანჯღავა, ბიძები როინ დარასელია, რეჯიბი კემულარია, მურთაზი - ჯანჯღავა, ლევან ჯიქიძე, დეიდაშვილები: თეა, დათა ჯანჯღავები, მამიდაშვილები: მზევინარი, გიორგი ჯიქიძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ზურიკო რენდიკოს ძე დარასელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9 ნოემბერს 16 საათზე. დაკრძალვა 10 ნოემბერს 16 საათზე სოფელ კოლხიდაში.

და ელენე დარასანია, სიძე დამიანე აბრალავა, დისშვილები: ემზარი, ალიკო აბრალავები ოჯახებით იუწყებიან

ოთარ კონდრატეს ძე დარსანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 ნოემბერს 15 საათზე, გამოსვენება ქ. სოხუმი, მშვიდობის გამზირი 142.

ა ხიტა, ძმა ქიმვარდი, რძლები: ვარდიმა დვალი, ციალა შამანია, დისშვილი ეთერ თირქია, ძმისშვილები: მზია, მედიკო, იგორი გაგუები, სიძეები: ხუტა კვარაცხელია, გრამიტო რაფავა, ვენგერი აბსანძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ჯურა ჩანთუს ძე გაგუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ნოემბერს. დაკრძალვა 12 ნოემბერს. გამოსვენება ჩეხოვის ქუჩა 7-დან.

სიდედრი აგრა ქობალია, შვილებით: ნათელა, თამარა, ოთარი, ლამარა, ნუცა, გრიშა, ორდენი ქადარიები, რძლები: დოდო კეტია, მზიური ლოგუა, ჯული წარია, დოდო ჩარგაზია, სიძეები: ეროა ჯალაღონია, ტარიელ კვარაცხელია, გაზრდილი ძიკა ქარჩავა ოჯახებით იუწყებიან

იაშა სევერიანეს ძე ცაცუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 ნოემბერს სოფელ ჭუბურხინჯში. (ვალის რაიონი).

მეუღლე თამარი, შვილები: ირმა, იზაბელა, დედა ნუცა, დები: ლიანა, ზოია, ძმები: აროელდი, მურმანი ლატარიები, დეიდა ეფეფონა ხურციელავა, მამიდები: ოლია, შურა, ქენია, ტატიანა, სიძეები: გოგი ჭითანავა, რეზო კვარაცხელია, ავთანდილ კუკავა, რძლები: ნარგიზა, ზაირა, ნატო, ვალია, ბიძა ჭიკიკო ლატარია, ბიცოლები: ლიზა, მარუსია, სიდედრი ზინა ცურკანი, ცოლისდა ლუდა ტურავა, ცოლისძმა ალექსანდრე ცურკანი, ქვისლი ტუტუ ტურავა ოჯახით, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

რეზო (თუნთუშა) იოსების ძე ლატარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ნოემბერს, დაკრძალვა 12 ნოემბერს 5 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოლხეთის მესამე შესახვევი 20-დან.

მეუღლე გელოდი, შვილები: მარინე, ბაია, თენგო ჩიქოვანები. შვილიშვილები: თემური, ლაშა, ეკა, ძმა ვოვა ჯანელიძე, მამიდა ფაცა ჯანელიძე, სიძეები ბეჟან წიფურია, სოსო ჟვანია, მზახლეები: ნინელი, ლადო წიფურიები, ოლია ჟვანია, მაზლიშვილები: ჯამბული, ჯანო, ჯონი, ნინო. ხათუნა ჩიქოვანები, მეულმშვილი იგორ ნარსია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ბელა გრიშას ასულ ჯანელიძე-ჩიქოვანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 ნოემბერს. დაკრძალვა 17 ნოემბერს. გამოსვენება ზუგდიდი, პაატა ყურწუას ქ. 40-დან.

დედა ლამარა. მეუღლე ეთერი, შვილები: მარიკა, სერგო, და დოდო, ძმები: ხვიჩა, გოჩა, სიძე სერგო ბუკია, რძლები: გენდო კაკულია, ხუნუ გეთია, ლუბა კალინინა, დარეჯან თორდია, ფათუ მოსია, ნანა ნამთალოვა, სიდედრი ლიდა, სიმამრი მიშა, ცოლისდები: ციალა, ირა, ცოლისძმები: კორნელი, როინი, ლადო, რევაზი, გოჩა ჯიქიები, მამიდები: ლეილა, ქეთო, ნარო, ბიძები შოთა, მიშიკო ქადარიები, ვალიკო ბიგვავა, პალიკო დარასელია, ბიცოლები: ფუფული შამუგია, ცისანა დგებუაძე, ნაზო შენგელია, დინარა გოგორია, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

იური (ჯონი) სერიოჟას ძე ქადარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ნოემბერს. გამოსვენება 17 საათზე სოფ. ახალაბასთუმნიდან.

გამოსათხოვარი

ისევ ჩვენს გვერდით ხარ

კიდევ ერთი ღირსეული ჭეკაცი გამოაკლდა ინგირს, 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებთა რიგებს. ბრმა ავარიამ იმსხვერპლა ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ზაზა წულაია. მას 2 ნოემბერს 21 წელი შეუსრულდებოდა, განგებამ ერთი დღით ადრე ინება მისი ტრაგიკული აღსასრული. ვერ მოესწრო ოცდამეორე გაზაფხულს ჯანღონით სავსე, მეგობრებისა და ახლობლების სიყვარულით ანთებული ლამაზი ვაჟკაცი, მუდამ მხიარული და ხალისიანი, დღეს დადუმებულხარ, აუტანელია ეს დუმილი, არ ძალგიძს ვანუგეშოთ შენი დამწუხრებული ოჯახი.

ნეტავ მოსწრებოდი თავისუფალ საქართველოს, ასე რომ გწყუროდა. ნეტავ დამტკბარიყავი შენი მეგობრების სიახლოვით. იმ დღესაც მეგობრებთან ერთად მიდიოდი და სამუდამოდ დაშორდი მათ!

მაგრამ შენი სული ჩვენთან არის, შენ ისევ ცოცხლობ ჩვენს გულებში, როგორც კეთილი და სათნო, უანგარო და მხიარული ზაზა!

ზაზას მეზობლები.

ჯონი ქადარია

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის კოლექტივს გამოაკლდა საამქროს ოსტატი ჯონი სერიოჟას ძე ქადარია.

იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა წარმოებაში. მოიტანა დიდი სითბო და სიყვარული. მამის გვერდით იღვწოდა, იყო სამართლიანი და აკურატული. მამაც ადრე განერიდა ამ ცხოვრებას, ახლა კი კოლექტივს გული ატკინა ჯონის დაკარგვამ.

ძნელია შეგუება იმ დანაკლისთან, რასაც დღეს კოლექტივი განიცდის. ვწუხვართ და ვეთხოვებით შესანიშნავ მოქალაქესა და კოლეგას.

მამის გვერდით ჰპოვე სამუდამო სასუფეველი. მსუბუქი იყოს კოლხური მიწა შენთვის დაუვიწყარო ჯონი.

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის კოლექტივი.

მეუღლე ნოდარი, შვილები: ხვიჩა, ნონა, დები: ლილი, ტატიანა, მიმოზა, ძმები: კაკო, აპალონი, რძლები: მარეხი წულუკიძე, გულნარა ქარჩავა, ლორეტა ქავთარაძე, სიძეები: გია აფციაური, აპალონ ბაძაღუა, კიკული ლატარია, შვილიშვილები: ეკა, დათო ფაჟავები, თამუნა, გიორგი აფციაურები, მტლები: მელაშა, რაისა ფაჟავები, მარგო ბუკია, მაზლი ხუტა, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ნანული ვალიკოს ასულ ნადარაია-ფაჟავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ნოემბერს. დაკრძალვა 12 ნოემბერს სოფ. ხეთაში. (ხობის რაიონი) 17 საათზე.

მეუღლე ნინა, შვილები ეთერი, ნელი ჯოჯუები, სიძე ტერენტი ძანძავა, შვილიშვილები: რამინი, ლიანა, ემა, ნონა, ზურაბი, ნანი, ელდარი, ძმისშვილები: რადიონი, ხუგზარი ჯოჯუები, დისშვილები: აპალონ ცაცუა, ალიოშა, გრამიტონი, შალიკო, ხუტა, ლენა ; გვაჯავები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

გრიგორი (გრიშა) ივანეს ძე ჯოჯუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 ნოემბერს. დაკრძალვა 12 ნოემბერს სოფ. რიყეში.

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება

მოკოდა იაკის ასულ ქირიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80. რედაქტორის მოადგილის 2-33-69. პასუხისმგებელი მდივნის 2 31-06, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წარმომადგენლობის 2-25-12. რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №1788